ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №917943

ნომერი: AR1162895

თარიღი : 18.09.2013

გაცემის თარიღი : 25.09.2013

გაცნობის თარიღი : 26.09.2013

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შუამთა , N 20 , (ნაკვ.34/4) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნაილი აბჟანდაძე პ/ნ 18001043332
- მე-3 მასივი 4 კვ. კ 4ბ 21

ორგანიზაცია:
- შპს ფირმა არბო კოდი: 208153914

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების

თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რასთან დაკავშირებითაც გაცნობებთ, რომ თუ საჩრდილობელი გათვალისწინებული იქნება ღია კაფის ფუნქციონირებისთვის, ამ შემთხვევაში სამსახურს შესაძლებლად მიაჩნია აღნიშნული განხორციელება, თუმცა იმისათვის, რომ სამსახურმა იმსჯელოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა სამსახურს კვლავ მომართოთ მოთხოვნით ღია კაფის მოწყობასთან დაკავშირებით და აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტილების შემთხვევაში საკითხი დააყენოთ დროებითი სტატუსის საჩრდილობლის მოწყობაზე.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ ვინაიდან აღნიშნული საჩრდილობლის მოწყობა ხდება ქ. თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, ამისათვის წარმოსადგენი იქნება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა აღნიშნულ სამუშაოებთან დაკავშირებით.

დამატებით გაცნობებთ: ვინაიდან წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ფოტოსურათებიდან ირკვევა, რომ საჩრდილობლისა და მოაჯირის მოწყობა გარკვეულწილად უკვე ნაწარმოებია, გამომდინარე აქედან "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისთვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის წარმოდგენის შემდეგ ან უნდა განახორციელოთ ნაწარმოები მშენებლობის დემონტაჟი, რომლის დამადასტურებლად უნდა წარმოადგინოთ განახლებული არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოებისურათები და მათ საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟები გაბარიტული ზომებისა და მასალის მითითებით.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჟ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge